პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
ოთხშაბათი, 21 მაისი 1924 წ
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 503 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

# წითელი ჯარისათვის
## საქართველოს მშრომელ ხალხს.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! ამ დღეებში გამოცხადდება 1902—3 წ. წ დაბადებულთა ქართულ წითელ ლაშქარში გაწვევა.

რევოლიუციონური წითელი ლაშქრის რიგები სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდა მუშებმა უნდა შეავსონ და მით უზრუნველჰყონ სოციალისტური რესპუბლიკები გარეშე თუ შინა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმისაგან.

წითელი ჯარი წარმოიშვა, გაიზარდა და გაჯანსაღდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ცოდნის მხრივ **მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში.**

მისი პირველი აკვანი ეს რუსეთია, რომლის მუშებმა და გლეხებმა შეჰქმნეს ძლევამოსილი წ. ჯარი რევოლიუციის მონაპოვართა დასაცველად და მტრების შესამუსრავად. თქვენ დაინახეთ და დარწმუნდით, თუ როგორ იბრძოდა მუშებისა და გლეხების ჯარი, როდესაც მათ წინააღმდეგ იმპერიალისტურ ქვეყნების კორპუსები და დივიზიები დაირაზმა და იერიში მოჰქონდათ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების დახმარებით და ლოცვა-კურთხევით.

რიცხვით მრავალი, სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იმპერიალისტური არმია უკუაქცია შრომის ღვიძლმა შვილმა, წითელმა ჯარმა. ასეთ პირობებში მსგავსი მარცხი მტრების და ჩვენი გამარჯვება ჯერ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. ეს იმიტომ, რომ წითელი ჯარი უპირველეს ყოვლისა ღვიძლი შვილია მუშების და გლეხების.

ეს იმიტომ, რომ დღეს მუშების მთავრობაა, მთავრობა იგივე მუშებია.

წითელმა ჯარმა იცოდა და იცის, რომ ის თავის საკუთარ საქმეს აკეთებს; მან იცის, რომ თავისი სისხლით და ხორცით უნდა დაიცვას მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოები, რომლებიც ატარებენ ცხოვრებაში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოდ რევოლიუციონურ პრინციპებს და კანონებს, რომლებიც გაბედულადა და შეურყევლად ებრძვიან დრომოჭმულ კაპიტალისტურ წარმოებას და ნიადაგს უმზადებენ ახალს, სოციალისტურ წარმოებას და თანამშრომლობას.

წითელმა ჯარმა იცის, რომ საბჭოების დამარცხება ეს ძველი წესწყობილების აღდგენაა, მიწების დაბრუნებაა მემამულეებისათვის, ფაბრიკა-ქარხნების და ყველა წარმოების ერთი მუჭა კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა.

საბჭოების დამარცხება—ეს მუშათა და გლეხთა დამარცხებაა, მუშების და გლეხების პოლიტიკურად და ეკონომიურად მონობაა.

საბჭოების დამარცხება—ეს ძალა-უფლების მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელში გადასვლაა. იცის რა ყველა ეს წითელმა ჯარმა—ამიტომ ის უძლეველი და სახელოვანი დარაჯია მუშათა ინტერესებისა. ჩვენი ჯარის სახელი და მოგონება შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ ჯარს და სარდლობას.

**მუშებო და გლეხობო!** მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება; საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება კი ერთი უდიდესი გარანტიაა ეკონომიური წინმსვლელობისა, ქვეყნის კულტურულად განვითარებისა ყოველივე ომის, შურის და მტრობის მოსპობისა და სოციალიზმის განხორციელებისათვის.

რუსეთის დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ და ექვსი წლის სამოქალაქო ომმა ნათლად დაგვანახა, რომ მუშათა კლასის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, როდესაც მას ეყოლება თავისი გამობრძმედილი ჯარი.

ჯერ კიდევ, როდესაც გარშემორტყმული ვართ ურიცხვი მტრებით, რომლებიც ცდილობენ ჩვეულებისამებრ გამოსწიონ ჩვენს წინააღმდეგ თავიანთი ბინძური ხელები, ჩვენ გვესაჭიროება მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი აღმშენებლობითი საქმისათვის ფოლადისებური, რევოლიუციონური ცეცხლით გულში ანთებული და მჭრელი მახვილით ხელში, გაწვრთნილი დარაჯი, წითელი ჯარი.

ამ ჭეშმარიტებას თქვენ, მშრომელო ხალხო, თვით ხედავთ და გრძნობთ და მშრომელთა ხელისუფლება დარწმუნებულია იმაში, რომ აღფრთოვანებით და ერთსულოვანებით შეავსებთ წითელ ლაშქრის რიგებს.

ქართული წითელი ჯარი, აღზრდილი სოციალისტური იდეით, ერთი რაზმთაგანი იქნება კომუნისტური ინტერნაციონალური ჯარის, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების დაცვაში დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა კომუნისტური იდეალებისათვის.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ღრმად სწამს, რომ ახლად გაწვეულნი სულ მოკლე ხანში ჩვენს წითელ ყაზარმებში მიიღებს ძეს ფერ სამხედრო ცოდნას და გონებრივ განვითარებას, რის შემდეგ ერთი იდეით პოლიტიკური ცოდნით აღჭურვილნი, საბჭოთა წყობილების დაცვაში დაინტერესებულნი, დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს და ჩადგებიან სოფლისა და ქალაქის მუშების მოწინავე რიგებში მშრომელთა ხალხის საკეთილდღეოთ.

დიდება და სალამი წითელ ჯარს და მის სარდლობას!

გაუმარჯოს დიდ ინტერნაციონალურ წითელი ჯარის ერთ რაზმს—საქართველოს წითელ არმიას!

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სალამი ჯარში ახლად გასაწვევთ!

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

# გერმანიის ფაშისტების „შავი დღეები".

გერმანიის ფაშიზმი შეუდგა მოქმედებას. არჩევნებში გამარჯვებით გათამამებული, ის უკვე შეუდგა თავის შავბნელ ზრახვების სისრულეში მოყვანას.

ამას წინათ ქ. გალეში მათ მოაწყვეს ე. წ. „გერმანიის დღე". ამ დღეს იმათმა აღადგინეს პროლეტარიატის მიერ განადგურებული ცნობილი მილტკეს ძეგლი.

ფაშისტების გამოსვლას ქ. გალეში, პროლეტარიატმა ასეთივე პასუხი გასცა. მოხდა შეტაკება, პოლიცია და ჯარი ფაშისტებს დაეხმარენ. უიარაღო მუშების დემონსტრაციები გარეკეს. მრავალი ათასი მუშა ერთ შენობაში ჩაკეტეს და იქ რამოდენიმე საათი ამყოფეს.

ფაშისტების ასეთმა გაბედულმა გამოსვლამ აღშფოთება გამოიწვია გერმანიის მუშათა კლასში. გერმანიის ნახევრად ფაშისტური მთავრობა დაფრთხა, და მან აკრძალა „გერმანიის დღეების" გამართვა. მთავრობამ იცოდა, რომ ფაშისტების გამოსვლას-მუშათა კლასის გამოსვლა მოჰყვებოდა. ეს იყო მიზეზი „გერმანიის დღეების" აკრძალვის. მაგრამ ფაშისტები არ დაემორჩილნენ მთავრობის განკარგულებას. მათმა კარგათ იციან, რომ მთავრობა მათ წინააღმდეგ მკაცრ ზომებს არ მიმართავს. ასე რომ—შიში უნდა ქონოდათ.

ფაშისტების მიზანი ის არის, რომ მუშათა კლასი გამოიწვიონ და მათ ბრძოლა გაუმართონ. ამაში მთავრობა ფაშისტებს დიდ დახმარებას გაუწევს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად ფაშისტები კვლავ ემზადებიან „შავი დღეების" მოსაწყობად. დღესასწაულების მოწყობა განზრახულია მრავალ ქალაქებში. მთავრობამ ნება დართო დღესასწაულების მოწყობის, თუ ისინი დახურულ შენობებში იქნებიან გამართული. მაგრამ ფაშისტები მაინც აპირებენ დემონსტრაციების მოწყობას ღია ცის ქვეშ. ფაშისტებმა უკვე მოაწყვეს „ულანის დღე" ქ. ფიუსტენვალდში. ამავე ქალაქისაკენ კომპარტიის მოწოდებით გაემართა 4.000 მუშა. მუშებს გზაში დახვდა პოლიცია. მუშების ნაწილი ჩაკეტეს ცეცხლის მქრობელი რაზმის შენობაში. მუშები მაინც მიემართებოდნენ დანიშნულ ადგილისაკენ. შეტაკება მუშებსა და პოლიციის შორის საღამომდე გაგრძელდა.

გერმანიის კომპარტიის ცენ. ორგანო „როტე ფანე" მოუწოდებს მუშათა კლასს ანტი-ფაშისტურ დღეების მოწყობისაკენ. პირველი „წითელი დღე" ფაშისტურ „შავ დღეების" წინააღმდეგ დანიშნულია 8 ივნისისათვის ქ. ლეიპციგში.

ფაშიზმი და კომუნისტური პარტია—აი ორი ძალა, რომელნიც უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან გერმანიაში. სოციალ-დემოკრატია და სხვა ზომიერი პარტიები ფაშიზმის მაჩანჩალები არიან. ირაზმება ფაშიზმი. ირაზმება კომუნისტური პარტია. გერმანიის ფაშიზმი „შავ დღეებს" მართავს. კომუნისტური პარტია „წითელ დღეებისათვის" ემზადება. გერმანიის კომპარტიას ზურგს უმაგრებს ის ოთხი მილიონი მუშა, რომელმაც მას ხმა მისცა არჩევნებში კომპარტია უძლიერესი პარტიაა გერმანიაში.

შავი და წითელი ძალები უკანასკნელ ბრძოლისათვის ემზადებიან. გადამწყვეტი ბრძოლა შორს არ არის. პროლეტარული რევოლიუციის აჩრდილი გერმანიაში ხორცს ისხამს. მართლაც რომ, „შავი დღეები" უღებება გერმანიის ფაშიზმს.

# რადიო-დეპეშები

— გერმანიაში მეტად გახშირდა ფაშისტური დემონსტრაციები. დემონსტრაციები მიმართულია პროლეტარიატის წინააღმდეგ.

— ფიურსტენვალდში ფაშისტების შეტაკება მოხდა მუშებისა და პოლიციის შორის, მრავალი მუშები დააპატიმრეს.

— „როტე ფანემ" ფაშისტურ „გერმანელ დღეების" საპასუხოთ დაიწყო მუშათა „წითელი დღეების" ჩატარების კომპანია.

— 23 მაისს გაიხსნება რ. კ. პ. 13-ტე ყრილობა მოსკოვში.

— მოსკოვში გაიხსნა ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ტროცკი.

# ბურჟუაზიულ ქვეყნებში

### საფრანგეთი და ოსმალეთი.
#### თვალები აეხილათ.

საფრანგეთის არჩევნების შედეგები მოულოდნელი შეიქნა ოსმალეთის პრესისთვის, რომელიც საზრდოობდა ოფიციალური ცნობებით პრესა პირველად ალაპარაკდა პუანკარეს მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე და იმედს გამოსთქვამს, რომ მემარცხენე ბლოკის მთავრობასთან უფრო ადვილად შეიძლება შეთანხმება.

### პოლონეთი.
#### საშინელი კოშმარი.

იტყობინებიან აღმოსავლეთ გალიციის პოლიტიკურთა საპყრობილეებში საშინელ კოშმარულ მდგომარეობის შესახებ.

ბორისლავის საავადმყოფოში სიკვდილის პირად იმყოფება მუშა გალიბარდა, რომელიც აწამეს პოლიციელებმა.

მოკლულია მუშა ხოლევკო, რომელსაც ჩაუდვეს ჯიბეში ბოთლი საწამლავით. ბორისლავის პოლიციამ მოჰკლა მუშა ვილესკი. ბელოსტოკის საპყრობილეში დაპატიმრებულ ახ. კომკავშირის წევრების მშობლები „რაბოტნიკში" მოთავსებულ წერილში აღნიშნავენ, რომ დაპატიმრებულებს საშინლად სცემენ ჩვენების ოდნავ დაღლევისათვის.

#### უჩვეულო სიმკაცრე.

საველე სასამართლოს განაჩენით ლოძი ლოძში დახვრეტილი იქნა 18 წლის ახკომკავშირელი ენგელ, რომელმაც მოჰკლა სახელმწიფო ჩინოვნიკი ლუჩაკი—პროვოკატორობისათვის.

## საფრანგეთი.

### სოციალისტები შევლენ ახალ მთავრობაში.

სოციალისტ დეპუტატმა ვარენმა განაცხადა, რომ ის მომხრეა სოციალისტების მთავრობაში მონაწილეობის, ამომრჩეველთა სურვილებისადმი შეფარდებით. ვარენის აზრით, სოციალისტური პარტიის მომავალ პარიზის კონგრესზე საკითხი მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის შესახებ გადაწყდება დადებითად.

### მემარცხენე მთავრობისადმი ნდობა შეუძლებელია.

საფრანგეთის პარლამენტში არჩეულმა კომუნისტ დეპუტატებმა გადასწყვიტეს ენერგიული ბრძოლა აწარმოონ ამნისტიის დაუყოვნებლივ გამოცხადებისა, საბჭოთა რუსეთის ცნობის და რურის ოლქის საფრანგეთის ჯარებისაგან ევაკუაციის გარშემო. კომუნისტ დეპუტატებმა გადასწყვიტეს მოუწოდონ საფრანგეთის მუშათა კლასს იმედს ნუ იქონიებენ მემარცხენე მთავრობისას და ისინიც გამომჟღავნებენ მათ მოქმედებებს.

### კომპანია „ჰუმანიტეში“.

„ჰუმანიტე“ ხსნის კომპანიას ახალი კომუნისტური პროგრამის გარშემო, რომელიც მოითხოვს გარდა საყოველთაო ამნისტიის, — ყველა დათხოვნილ რკინის გზელ მუშების უკანვე სამსახურში მიღებას, სამხედრო სასამართლოების და სამხედრო კატორღების გაუქმებას. კომპარტია აწყობს მიტინგების კომპანიას.

### საბჭოთა-იაპონიის მოლაპარაკება.

რეიტერის სააგენტო იუწყება ტოკიოდან, რომ საბჭოთა—იაპონიის მოლაპარაკებას პეკინში უყურებენ, როგორც ოფიციალურს და ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლებს აქვთ რწმუნება ხელშეკრულების გეგმის გამოსამუშავებლად.

## ინგლის—რუმინეთი.

თემთა პალატაში მაკდონალდმა შეკითხვაზე განაცხადა, რომ რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკასთან არავითარ პოლიტიკურ მოლაპარაკებას ადგილი არ ქონია.

## შავი დღეები.

### ფაშისტები ყველგან მოედვენ.

ფაშისტები „გერმანიის დღის“ მსგავად გალეში, გერმანიის სხვა და სხვა ადგილებში აწყობენ გამოსვლებს. გამოსვლებს მიზნათ აქვს მუშათა მასების წინაამდეგ პროვოკაცია და წვრილ ბურჟუაზიული მასების მერყევი განწყობილების თავიდან აცილება.

სხვა და სხვა ქალაქებში დანიშნული დღესასწაულებ[ი] ნება დართულია ხელისუფლების მიერ, მხოლოდ მათი შენობებში ჩატარების პირობით.

პრუსიის მთავრობა უპასუხებს რა მემარჯვენეთა პრესის თავდასხმებზე დღესასწაულების შეზღუდვის გამო, თავს იმართლებს და აღნიშნავს, რომ ფაშისტური კავშირები მიისწრაფვიან ქვეყნის აღელვებისაკენ, აგრეთვე უმატებს, რომ ამ ჟამად გერმანია იმყოფება რატენაუს მკვლელობის წინა დღეებს.

ფაშისტები მაინც აპირებენ დემონსტრაციების ქუჩებში გამართვას.

### „უღირსთა დღე“ ფიურსტენვალდში.

ფიურსტენვალდენში „უღირსთა დღე“ ჩატარდა გალეში მოწყობილ „გერმანიის დღის“ მსგავსად. 4,000 მუშა, რომლებიც მიწვეული იყვნენ ფიურსტენვალდენში კომპარტიის დემონსტრაციების გასამართავად წინ შეეგება შეიარაღებული პოლიცია.

პირველად მისულ ათას მუშას იმ წამსვე დაახვედრეს დაბა კერტჩენდორფისაკენ ფიურსტენვალდის ახლოს და შამოერტყენ პოლიციელები.

შემდეგ მისული მუშები ჩაკეტეს სახანძარო დეპოში. შემდეგ მოსულ მუშებმა ძალით გაიკაფეს გზა უკანვე ბერლინისაკენ. მხოლოდ ახკომკავშირელთა რაზმმა ძალით გაარღვია პოლიციელთა რკალი და გაემართა ფაშისტების თავშესაყარ ადგილისაკენ. შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის საღამომდე გაგრძელდა. მრავალი მუშებია დაპატიმრებული.

დღესასწაულის დროს გახსნილი იქნა მსოფლიო ომში დახოცილთა სახსოვრად ძეგლი და შესდგა აგრეთვე ჯარის აღლუმი.

### „როტე ფანეს“ მოწოდება.

„როტე ფანემ“ მოწოდებით მიმართა გერმანიის პროლეტარიატს ფაშისტების დემონსტრაციების საპასუხოდ მოაწყონ ფიურსტენვალდში კონტრ-დემონსტრაციები და ამით უპასუხონ ფაშისტთა შემოტევს გაზეთი რკინის გზელთა მიმართ გამოშვებულ მოწოდებაში აღნიშნავს რათა უკანასკნელებმა ხელ შეუშალონ ფაშისტებს ფიურსტერნველდში გამგზავრებაზე. პოლიციამ ყოველ გვარი ზომები მიიღო რათა არც ერთი მუშა არ იქნეს გაშვებული ფიურსტერნვალდის მიმართულებით.

### „შავი დღეების“ საპასუხო „წითელი დღეები“

ფაშისტების მიერ მოწყობილ გერმანული დღეების საპასუხოდ „როტე ფანე კამპანიის ეწევა, მოეწყოს მუშათა „წითელი დღეები“ პირველი „წითელი დღის“ ჩატარება განზრახულია 8 ივნისს ლაიპციგში.

## ჩვენ და ისინი.

### საბჭოთა-გერმანიის კონფლიქტი.

#### ბერლინის პოლიციის პროვოკაცია.

პოლიციის ჩვენებაში აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულ სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელს ლემანს აღმოაჩნდა საბუთები, მათ შორის 30 დოლარის ბოცენგარდტის ხელწერილი, რომელიც მას ლემანის საშუალებით მიუღია სავაჭრო წარმომადგენლობის სალაროდან.

#### ბერნშტეინის რეცეპტი.

სოციალ-დემოკრატი ბერნშტეინი გაზ. „ფორვერტს“-ში მოუწოდებს გერმანიის მთავრობას წინ აღუდგეს ს.ს.ს.რ. მოთხოვნილებას სავაჭრო წარმომადგენლობის ექსტტერიტორიალურად ცნობის შესახებ, ბრალს სდებს ს.ს.ს.რ. ექსტტერიტორიალურ უფლებების ბოროტად გამოყენებაში. ბერნშტეინი ურჩევს მთავრობას ყურად არ იღოს მოსკოვის მუქარა და მაგრად დაიცვას გერმანიის უფლებები.

#### ხელ საყრელი არ არის.

რეიხსტაგის კომფრაქციის წინადადება საგარეო საქმეთა კომისიის მოწვევის შესახებ საბჭოთა—გერმანიის კონფლიქტის გასარჩევად, არ მიიღეს.

#### ს. ს. ს. რ. ემინიათ.

გაზ. „ცეიტუნგ“-ის მთავარი რედაქტორი ს. დ. ლენჩი ბრალს დებს საბჭოთა მთავრობას ინციდენტის გაზვიადებაში და სურვილს გამოთქვამს, რომ ინციდენტი, რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებულიყოს. ლენჩი შიშობს, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია მოიმოქმედოს სუყველაფერი იარაღით ქვეყნის წინაამდეგ.

#### ოსმალეთის პრესა საბჭოთა კავშირის წინაამდეგ.

ანგორას და კონსტანტინოპოლის პროვინციალურ გაზეთებმა გამოაქვეყნეს ს. ს. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენელთან ოსმალეთში არსებულ პრესის ბიუროს განმარტებანი ოსმალეთ-საბჭოთა შორის მომხდარ გაუგებრობის შესახებ.

დეპუტატთა წრეებში აცხადებენ, რომ ბოდიშის მოხდა არ აკმაყოფილებს ოსმალეთის მთავრობას, რადგან ოსმალეთის ქვეშევრდომნი ს. ს. ს. რ. ვითომდა ცუდ პირობებში იმყოფებიან.

## საბჭოთა კავშირი.

### რ. კ. 13-ტე ყრილობა გაიხსნება 23 მაისს.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მეცამეტე ყრილობა გაიხსნება 23 მაისს.

### ყრილობის პირველი დელეგატები.

უკვე ჩამოვიდენ 13 ტე ყრილობისათვის ზოგიერთი დელეგატები. 19 მაისში 450 დელეგატი ჩამოვიდა მოსკოვში, ბაშკირეთიდან, ციმბირიდან, უკრაინიდან, შორეულ აღმოსავლეთიდან და იაკუტიდან.

### ქიმიის მოყვარულთა საზოგადოება.

დიდ თეატრის დარბაზში შესდგა ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრო ს. ს. რ. კ. შემავალი ყველა რესპუბლიკების წარმომადგენლები, პროფკავშირთა, წითელი არმიის, პროლეტარული სტუდენტობის, პროფესურისა და მუშათა წარმომადგენლები.

ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების ამოცანების შესახებ სიტყვით გამოვიდა ამხ. ტროცკი, რომელსაც შეეგებენ მხურვალე ტაშის ცემით.

### ამხ. ტროცკის მოხსენება.

„ეს კრება“, სთქვა ამხ. ტროცკიმ, აუცილებლად გამოხატული იქნება, როგორც ახალი „ჯოჯოხეთური, იმპერიალისტური“ ზრახვები ს. ს. რ. კ. დანარჩენ „ცივილიზაციურ და კაცთ მოყვარე“ კაცობრიობის წინაამდეგ. კიდევ მეტი. ჩვენმა მტრებმა ჯერ კიდევ კრების გახსნამდე მოასწრეს ყველაფრის თქმა, რაც კი შეეძლოთ. მაგალითად, თეთრი პრესა სწერს, რომ ს. ს. რ. კ. წარმოადგენს ახალი ომების საშიშ კერასო, რომ საბჭოთა რუსეთში იგება ქიმიური ქარხნები და არსდება ქიმიური ტრესტები გერმანელ ტეხნიკების ხელმძღვანელობით. მაგრამ ჭორიკანობის არ უნდა გვეშინოდეს. ქიმიის მოყვარულთა საზოგადოების დაარსება სავსებით დროულია, ეხლაც, როდესაც საფრანგეთში და ინგლისში კვლავ ნაციონალისტური მთავრობებია

უკანასკნელნი მილიტარიზმის საკითხებში სრულიად არ განირჩევიან მილიტარისტულ მთავრობებისაგან.

ავიაცია და ქიმია მომავალ ომებს ხალხურ ომებათ აქცევენ, რომელიც მოსპობს ყოველგვარ განსხვავებას ჯარსა და მცხოვრებლებს შორის, ტყვილია თითქო ს. ს. რ. კ. მუშაობდენ ძლიერი ქიმიური ტრესტები. სამხედრო ქიმიური მრეწველობა ჩვენ მხოლოდ ეხლა უნდა დავაყენოთ ფეხზე. თუმც თუ ჩვენ, მივცემთ მას მარტო ქვეყნის მოგერიების დანიშნულებას, მიზანს ვერ მივაღწევთ. საჭიროა სამხედრო ქიმიური მრეწველობა დაუკავშიროთ მშვიდობიანურ ცხოვრების საჭიროებებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გვქონეს მშვიდობიანური დროის ქიმიური მრეწველობა, მეურნეობის საჭიროებისათვის, ხოლო ომის დროს კი სათანადოთ გამოვიყენოთ. საჭიროა დავანახოთ მშრომელთა მასებს, თუ როგორი დიდი საშიშროება მოელით მათ. საშიშროებაზე—ლაპარაკი ნიშნავს—მის გამანადგურებელ თვისების შესუსტებას. ქიმიური მრეწველობა უნდა დავიწყოთ და აუცილებლად დაწყება.

## ნაციონალურ ბლოკის დამარცხება და მცირე ანტანტა.

პუანკარეს დამარცხებას არჩევნებში არ შეიძლებოდა დიდი გავლენა არ მოეხდინა მცირე ანტანტის სახელმწიფოებზე, რომლების საგარეო პოლიტიკა სავსებით ნაკარნახები იყო პარიზიდან. პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, რუმინეთი და სამხრეთ სლავია—აი ის სახელმწიფოები, რომლებსაც თავის სურვილისამებრ ამოქმედებდა პუანკარე. მათთვის მზათ იყო იარაღი, სესხი და სხვა ყველაფერი თუ ისინი საბჭოთა კავშირთან მტრულ განწყობილებაში იქნებოდენ. ამის ფაქტები რამდენიც გნებავთ! ეხლა კიდევ მათი მოგონება ზედმეტია. და უნდა ითქვას, რომ არც ერთს იმათთაგანს არ უღალატნია არც ერთი წუთით თავის ბატონისათვის. მაგრამ დღეს პუანკარე სცილდება პოლიტიკურ ასპარეზს, ის დამარცხდა, მისი პოლიტიკა გაკოტრდა. და ასეთმა გამარჯვებამ, შეაშფოთა მცირე ანტანტის პოლიტიკური წრეები. იმათმა დაკარგეს ხელმძღვანელი და მფარველი. ისინი უკვე საკუთარ თავის ამარა რჩებიან.

ეჭვს გარეშეა მათი საგარეო პოლიტიკა შეიცვლება. იმათ უკვე შეუდგა ციებ-ცხელება. პოლონეთი შეშფოთებულია. რუმინეთში შექნა მეტად ცუდი სულისკვეთება. სამხრეთ-სლავიას გული გაუტყდა. ჩეხო სლოვაკია შეშინებულია და რაღაცისთვის ემზადება.

ასეთმა გარემოებამ მოუსწრო მცირე ანტანტას სწორედ მაშინ, როცა მისი შინაური საქმეები ერთობ არეულია. პოლონეთი მივიდა ფინანსიურ კატასტროფამდე. შიგნით აწეწილი მდგომარეობაა. გარედან კი პროტესტები ნაციონალურ უმცირესობათა შევიწროვების წინაამდეგ. ასეთი საპროტესტო ნოტა მიიღო პოლონეთის მთავრობამ არა მარტო ამხ. ჩიჩერინისაგან. არამედ საფრანგეთის რადიკალურ ბურჟუაზიის მეთაურმა, მომავალმა პრემიერმა ერიომ პარიზიდან პროტესტი განაცხადა პოლონეთში არსებულ თეთრი ტერორის წინაამდეგ. პოლონელი მენშევიკები მოითხოვენ მთავრობისაგან ნაციონალურ-უმცირესობათა მიმართ პოლიტიკის შეცვლას.

რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობა მეტად გართულდა. საფრანგეთმა უარი უთხრა ხელშეკრულების დადებაზე. არ მოეწყო გარეშე საქმეთა მინისტრის ოსმალეთში წასვლა. ინგლისში ტყუილ უბრალოდ გაემგზავრა რუმინეთის მეფე. ჩეხოსლოვაკიამ პროტესტით მიმართა რუმინეთს განაპირა ადგილებში წარმოებულ პოლიტიკის გამო. ბესარაბიის საკითხში სასტიკი დამარცხება იგემა რუმინეთმა. მას ამ შემთხვევაში არ აღმოუჩნდა არავინ მოკავშირე, გარდა აწ განსვენებულ პუანკარესი, რომელმაც რატიფიკაცია უყო ბესარაბიის შეერთებას რუმინეთთან. რუმინეთის მთავრობის პრესა აღნიშნავს რუმინეთის ასეთ მდგომარეობას და გამოსავალს ვერსად ხედავს.

სამხრეთ-სლავიის მეფემ გადასდო თავისი გამგზავრება პარიზში.

ჩეხო სლოვაკია ერთობ ცუდ მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინტერესები მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ცნობას, ის მაინც ვერ ბედავთა ამას, რადგან პუანკარესი ეშინოდა. დღეს კი თვით საფრანგეთი ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. ჩეხო-სლოვაკიას ეშინია, რომ მას მოასწრებს საფრანგეთი საბჭოთა მთავრობის ცნობას.

საერთოდ მცირე ანტანტის სახელმწიფოები გამოუვალ ჩიხში მოემწყვდენ. იქ მიიყვანა ისინი პუანკარემ. საფრანგეთის იმპერიალიზმით გათამამებულნი, ისინი წინ არ იხედებიან და თავს არხეინად გრძნობდენ. ეხლა კი ისინი მოჯადოებულ წრეში მოხვდენ. არც ისე ადვილია აქედან გამოსვლა. საკუთარ თავის მეტი მათ არავინ გააჩნიათ. არც ინგლისი, არც საფრანგეთი და არც სხვა რომელიმე დიდი სახელმწიფო არ გაუწევს მათ მფარველობას. ყველას საკუთარი საქმეები აქვს. ყველა მიისწრაფის საბჭოთა კავშირისაკენ.

რამოდენიმე თვის წინათ შემდგარ მცირე ანტანტის კონფერენციაზე უმთავრესი საკითხი იყო საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი. თუმც ეს საკითხი არ იყო კონფერენციის მუშაობის დღის წესრიგში, მაგრამ ცხადი იყო, რომ კონფერენციის მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიპყრობილი. მაშინ ჩეხო-სლოვაკიის პრემიერმა ბენეშმა გამოსთქვა სურვილი საბჭოთა კავშირის ცნობის, მაგრამ მისი განცხადება ერთობ ბუნდოვანი იყო. საბჭოთა კავშირის მთავრობამ მაშინვე სათანადო პასუხი გასცა ბენეშის განცხადებას: „ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ჩვენთან დამოკიდებულების საკითხი ირჩეოდეს ჩვენს დაუსწრებლათო.“ ასეთი იყო საბჭოთა მთავრობის განცხადება ბენეშის განცხადებით გამოწვეული.

იმ თავითვე ცხადი იყო, რომ მცირე ანტანტის ყველა წევრების, განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკიის და რუმინეთის ინტერესები მოითხოვდენ საბჭოთა კავშირთან სრულ ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ ეს იმათმა ასე ქნეს. პუანკარეს ასე სურდა, და მის სურვილების წინაამდეგ აბა ვინ წავიდოდა.

ეხლა კი სულ სხვა გვარი მდგომარეობაა. პუანკარესი არავის ეშინია. ყველა ზიზღით და აღშფოთებით იხსენიებს მას და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას. პუანკარეს სიკვდილი დიდ გარდატეხას მოახდენს კერძოთ მცირე ანტანტის სახელმწიფოების პოლიტიკაში. საით მიმართავს მომავალში მცირე ანტანტა თავის საგარეო პოლიტიკას? მისი ხსნა მხოლოდ დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებაში და საბჭოთა კავშირის ცნობაშია. მოიქცევიან ასე მცირე ანტანტის სახელმწიფოების დღევანდელი მთავრობები? თუ გონება არ დაუკარგავთ ამ გზით წავლენ. ყოველ შემთხვევაში მეტი გამოსავალი მათ არ აქვთ.

ზეფირ.



# რაზედ მწერენ

### უნდა დაიკეტოს.

ჩვენ მეორედ გვიხდება ამაზედ წერა, რადგან პირველ წერილმა ვერ გამოიღო ნაყოფი.

ჩვენი ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმის გვერდით, დავითის ქუჩიდან, არის სასადილო „ქოზეფი“, საიდანაც მოისვენება არაა მთელი ღამეობით.

აქ ვინ იცის რა ამბები ხდება, მაგრამ ერთი კი აშკარაა:

განუწყვეტელი ქეიფი, მუსიკა, ცეკვა, ყვირილი, ღრიანცელი და გარყვნილება, რომლის ძალაუნებური მოწმენი ხდებიან ჩვენი არმიელები.

ყველაზე საშინელი სურათები კი ისაა, რომ, უკან „ბალი-კაბინეტებით“ სპეციალურად მოწყობილია „დამეებისათვის“.

აქა ნახავთ როგორც მოზრდილ ისე პატარა გოგოებს, აქ პროსტიტუციას ფართო სარბიელი აქვს.

იმედია ვისგანაც ჯერ არს, ამას მიაქცევს ყურადღებას.

**სნ.**

## ლენინელი-კურსანტები სოფლად.

ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი სკოლა ზრდის არა მარტო სამხედრო ხელოვნების სპეცებს, არამედ პოლიტიკურად მომზადებულ მოქალაქეებსაც. კურსანტი — მხედარი საზოგადო მოღვაწე, ძლიერი თავის ცოდნით სამხედრო ფრონტზე, ძლიერი უნდა იქნეს ეკონომიურ-კულტურულ ფრონტზედაც, აი დევიზი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კურსანტი-ლენინელი.

და ამ სკოლის შვილებს ჩვენს ახალგაზრდა ლენინელთ ყველას კარგათ აქვთ შეგნებული ეს. კურსანტი შვებულებაში როდი ჰკარგავს დროს უნაყოფოდ, როდია ის მოცლილი, მას როდი აქვს წარმოდგენილი, რომ ის შვებულებაშია ცა არა ვლინებაში სხვა და სხვა დავალებების შესასრულებლად. და ეს სხვა და სხვა დავალებები მას ნათლად ესმის, მტკიცედა აქვს გამჯდარი თავში, ის გასჭვალულია მით: არის ის გლეხებს შორის საუბრის ჩასატარებლად, ზის ის ახალგაზრდა ლენინელთა შორის უკითხავს მათ წესდებებს თუ ისტორიას, თუ დაქანცული ისვენებს და კითხულობს რამეს, ახსოვს რომ ბევრი აქვს, ბევრი გასაკეთებელი მას სოფლად, ამას ავალებს სახელი წითელ კურსანტისა, წითელი მხედრისა, მომავალ წითელი მეთაურისა, ავალებს სახელი ახალგაზრდა ლენინელისა. ის მოუსვენრად ადევნებს თვალყურს სოფელს, გაფაციცებით შეჰყურებს მის მოძრაობას, მის თვითეულ ნაბიჯს და თუ სადმე განზე ნახტომი, დასახიჩრება — დაავადება სოფლის რომელიმე ნაწილისა ნახა, ის იქ არის მის მოსაბრუნებლად, სწორ გზაზე დასაყენებლად და ტკივილის მოსაშუშებლად, მაგრამ თუ ეს მის ძალას აღემატება ადგილობრივ, მას ეს მოაქვს აქ ცენტრში, რომ აქედან იქნეს მოშუშებული მტკივნეული ნაწილი სოფლისა.

ბევრი ცნობებია კურსანტებისაგან მიღებული.

დიდი და დაუფასებელია ჩვენი ლენინელ კურსანტების მუშაობა სოფლად.

**ტი—შე.**

## ულირსი წევრები პარტიიდან განდევნილი უნდა იქმნენ.

პარასკევს, 16 მაისს შესდგა ქ. ცხენოსან ლეგიონის მე 3-მე ესკადრონის კომუჯრედის კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ჯღარკავა. დღის წესრიგში იყო:

1) სამოქალაქო კონფერენციის მუშაობა.

2) პარტ.-ამხ. ტულუშის და ჯინჭარაძის შესახებ.

3) მიმდინარე საკითხები.

სამოქალაქო კონფერენციის მუშაობის შესახებ, ფრიად საინტერესო მოხსენება გააკეთა ამხ. ნამგალაძემ. ის შეეხო ტფილისის კომიტეტის ანგარიშებს, პროფმოძრაობის მორიგ ამოცანებს, კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას.

როგორც გამოირკვა, კომუჯრედის მდივნის ამხ. საავოვის ინფორმაციულ მოხსენებიდან ამხ. ტულუში და ჯინჭარაძე დეზერტირობდნენ ლეგიონიდან, არ დაესწრნენ ექვსჯერ პარტ-კრებას, არ იხდიდენ საწევრო გადასახადებს და ეწეოდნენ „საბოტაჟს“.

ამიტომ კრებამ ერთხმად დაადგინა, ზემო აღნიშნულ ამხანაგების პარტიიდან გამორიცხვა.

მიმდინარე საკითხებში წამოყენებული იყო საკითხი პარტ-ამხანაგების მუშაობის შესახებ ლენინის კუთხეებში, კრებამ დაადგინა, რომ შემოღებულ იქმნას მორიგეობა, რომლის მიხედვით თვითეულმა პარტ-ამხანაგმა უნდა აწარმოოს ესკადრონის ლენინის კუთხეში საღამოობით კულტურული მუშაობა.

მესამე ესკადრონის პარტკორი

**შ. ცაგარელი.**

## სატელეფონო საქმე.

შაბათს, 17 მაისს ცალკე საკავშირო ასეულში მოხსენება წაიკითხა ტელეფონის საქმეზე ამავე ასეულის ინსტრუქტორმა ამხ. კვანტალიანმა, რომელმაც გააცნო კრებას დაწვრილებითი დანიშნულება ინდუქციისა და „კოტის“. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. იყო მრავალი შეკითხვები, რომელზედაც პასუხი გასცა ასისთავმა მიქელაძემ, შემდეგ მოხსენებას წაიკითხავს უფ. ინსტრუქტორი პაზუშკო.

სამხარი: **სვირელი.**

## საკლუბო მუშაობის გარშემო.

19 მაისს გარნიზონის საზაფხულო ბაღის მცირე დარბაზში მოხდა კლუბის მომუშავეთა თათბირი, რომელიც იყო გაგრძელება 12 მაისს გამართულ კამათის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენების გარშემო: „წითელ არმიელების თავისუფალ დროის საკლუბო მეთოდებით სარგებლიანი მოხმარება.“

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. მამფორია, მდივნობდა ამხ. მანდენოვი.

ამ კრებაზე ამხანაგები უფრო მომზადებულად შეხვდენ ამ საკითხს და სერიოზულად დაიწყეს აწონ-დაწონვა საკლუბო მუშაობისა, რომლითაც უნდა დახვდენ ახალ-წვეულებს.

კამათში მიიღეს მონაწილეობა პირველ ლეგიონიდან: ამხ. ამხ. ანჯაფარიძემ, ზვიადაძემ, მეცხრე პოლკიდან: ამხ. ამხ. რატნიკოვმა, ატომიანცმა, ლარიონოვმა, პოლიტ-სამმართველოდან ამხ. ამხ. ეგიკოვმა და ვასილიევმა და სხვა.

კამათი ამ საკითხის გარშემო მაინც ვერ დათავდა და გადაიდო მომავალ კრებისთვის, რისთვისაც ყველა ორატორს დაევალა, რათა კამათმა აღარ მიიღოს უნაყოფო ხასიათი, ყველა მოვიდენ გარკვეული თეზისებით და სხვა.

კამათი გაგრძელდა 3 საათზე მეტს.

**სანი.**

## ჩვენს კულტ-ფრონტზე.

### სასკოლო სექციაში.

მთავარ პოლიტ-განათლების მართველობამ ქარ. დივიზიის სასკოლო სექციას დაუთმო, უფასოდ 1000 ანბანის წიგნი: „სინათლისაკენ“, 1000 რვეული და 1000 ფანქარი დივიზიაში წერა-კითხვის ლიკვიდაციისათვის.

—

პოლიტ-განყოფილებამ შეიძინა და შეიძინა და სასკოლო სექციას გადასცა, მთ. პოლიტ-განათლების მაღაზიიდან, ლენინის, ნინოშვილის, მახარაძის და მარქსის სურათები, რომელიც მალე დაეგზავნება ნაწილებს სკოლების გასამშვენიერებლად.

## დეზერტირობის მსხვერპლი.

(დასასრული)

სუფთა ყაზარმის დარბაზებმა, სურათებით მორთულმა კედლებმა, უფროსების თავაზიანად მოპყრობამ მიხა განცვიფრებაში მოიყვანა. ახლად მოსულები ჯერ აბანოში გაგზავნეს შემდეგ მისცეს ყველას ცალ-ცალკე საწოლი, სუფთა ქვეშ-საგები და საცვლები. მიხა ერთი ორი კვირის განმავლობაში ისე შეეჩვია აქაურ ცხოვრებას, რომ როგორც საკუთარ სახლში ისე გრძნობდა თავს. სამხედრო ვარჯიშობას სხვაზე უფრო ადვილად ითვისებდა. ორი კვირის შემდეგ გამოყვეს წერა-კითხვის უცოდინართა ჯგუფი, რომელშიც მიხაც მოყვა; აქ მიხამ განსაკუთრებული ნიჭი და განსაცვიფრებელი ენერგია გამოიჩინა. თავისუფალ დროს წიგნს და რვეულს ხელიდან არ იშორებდა. ექვსი კვირის განმავლობაში მიხამ ჩინებულად შეისწავლა წერა-კითხვა.

რასაკვირველია, ისწავლა თუ არა წერა, მაშინვე დაებადა სურვილი ოლღასთვის წერილის მიწერისა. დაუწყო წერილს წერა, მაგრამ როგორღაც არ მოეწონა და დახია. შეუდგა უფრო გულმოდგინეთ ხელახლად წერილის წერას. მისწერა ყველაფერი თავის ყოფა-ცხოვრების შესახებ: მისწერა უფროსები თუ როგორ ამხანაგურათ ეპყრობოდეს, როგორ ყველაფერს ასწავლიდნენ: ყველაფერი რასაც შენ მეუბნებოდი მართალი გამოდგაო სწერდა წერილის ბოლოს.

ოლღადანაც მალე მოუვიდა გამამხნევებელი პასუხი. შემდეგ კვირაში ერთხელ სისტემატიურად უგზავნიდა ოლღას წერილს და მისგანაც ყოველთვის ღებულობდა პასუხს.

გავიდა 5—6 თვე; მიხა მეტად კმაყოფილი იყო თავისი ახალი ცხოვრებით მაგრამ მუდამ მაინც დაღვრემილი და ყურებჩამოყრილი დადიოდა. ამხანაგების საერთო მხიარულებაში იშვიათად ღებულობდა მონაწილეობას. მუდამ ჩაფიქრებული დადიოდა. ამხანაგებს კიდევაც უკვირდათ და ხშირად ეუბნებოდენ ხოლმე:

კაცო, რამ დაგაღონა, მიხა, წამო ჩვენ კლუბში, ამ ღამ იქ წარმოდგენაა, ბოლოს ცეკვა იქნება და ერთი შენებურად ჩამოუარეო.

მაგრამ მიხა მათ პასუხსაც არ აძლევდა და უარის ნიშნათ თავს გააქნევდა ხოლმე.

ამხანაგებმა რა იცოდენ თუ რა ცეცხლი უტრიალებდა მიხას გულში.

ერთ თვეზე მეტი იყო, რაც ოლღასაგან წერილი არ მიეღო, რამაც უფრო გააჯოჯოხეთა მისი მდგომარეობა.

— არა, რომ პირდებოდა ყოველ კვირაში მოგწერ წერილსო ეს არის მისი დაპირება?! ამ ბოლოს ოთხი წერილი მივწერე და ერთი პასუხიც არ მიმიღია; რა მოუვიდა, რა დაემართა, ვაი თუ სიტყვა გატეხა, სხვა შეუყვარდა და მე დავავიწყდიო მწარედ ოცნებობდა მიხა და თან ცრემლების ღვარი მოსდიოდა.

ერთ ღამეს მიხამ მეტად აღმაშფოთებელი სიზმარი ნახა; ვითომ ოლღა თეთრს ტანისამოსში გამოწყობილი ესვენა კუბოში. ამ სიზმრის შემდეგ სულ დაეკარგა მიხას სულის სიმშვიდე.

რა ექნა არ იცოდა. ოლღას აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა.

— მხოლოდ ერთი საათით მაჩვენა, შორიდან დამანახვა და მეტი არ მინდაო ნატრობდა მიხა, მაგრამ ამაოდ.

ბევრი უძილო ღამეების შემდეგ გადასწყვიტა შვებულების თხოვა, მაგრამ უარი უთხრეს, რადგანაც ჩვეულებრივ შვებულების მისი რიგი არ იყო ჯერ. ამ გარემოებამ სულ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მიხა.

ბოლოს იმედ დაკარგულმა თავის ნებით გადასწყვიტა სოფელში წასვლა.

— წავალ ვნახავ ოლღას, 3—4 დღეს დავრჩები და ისევ დავბრუნდებიო.

თავის გადაწყვეტილება მართლა მოიყვანა სისრულეში.

დაუწყეს მიხას ძებნა, გაიმართა მიწერ-მოწერა, გავიდა 8—9 დღე, მაგრამ მიხა ყაზარმაში არ სჩანდა. ბოლოს გამოიცა ბრძანება მისი დეზერტირობის შესახებ. მისი სახელი და გვარი შავ დაფაზე აღნიშნეს.

მიხა კი ამ დროს ოლღას ტრფიალში ატარებდა სოფლად დროს.

მაგრამ აქაც ვერ ისვენებდა მიხა, მუდამ შფოთავდა, ღელავდა; ბოლოს ოლღა მიხვდა მიხას მოუსვენრობას და ხშირად ეკითხებოდა ხოლმე:

— რა დაგემართა, აგრე რამ გამოგცვალაო, მაგრამ მიხა ყოველთვის კოცნით უპასუხებდა.

მესამე კვირას გიგო საჩქაროდ დაიბარეს თემის კანცელარიაში და გამოუცხადეს, რომ შენი შვილი, სამსახურიდან გამოპარულა, უსათუოდ მალე უნდა გამოცხადდეს, თორემ არც შენ დაგეყრება ხეირი და არც იმასაო.

— რას ქვია გამოპარულა?! გაოცებით შეეკითხა გიგო, კი არ გამოპარულა ორი კვირის „ოტპუსკში“ ჩამოვიდა და ეს სამი დღეა, რაც უკანვე გაბრუნდაო უმტკიცებდა გიგო, მაგრამ არავის სჯეროდა.

მიხას დეზერტირობის ამბავი მთელ სოფელს მოედო. ყველამ ცუდი თვალით დაუწყო ყურება გიგოს ოჯახს.

თვითონ გიგოც ძალიან სწუხდა:

— შემარცხვინა, თავისი თავიც დაიღუპა და მეც დამღუპაო, შესჩიოდა გიგო ელისაბედს, რომლის მოთქმას საზღვარი არ ქონდა.

მიხამ ოლღაც დააჯერა, რომ შვებულებაში ვარ წამოსულიო, მაგრამ ჭირმა თავი არ დაიმალა, ყველაფერი გამოაშკარავდა, რამაც ოლღაც მეტად დააღონა. უნდოდა უკანასკნელად მიხას ნახვა, მაგრამ მიხა არ სჩანდა; ბოლოს იმანაც იფიქრა ალბათ უკანვე თუ დაბრუნდაო.

გავიდა თვე ნახევარი, კიდევ მოვიდა კანცელარიაში მიხას მოძებნის შესახებ მოწერილობა; ადგილობრივი ადმინისტრაცია ეხლა უფრო ენერგიულად შეუდგა მიხას ძებნას.

თემის თავმჯდომარეც სწუხდა, რომ მის თემში დეზერტირობამ იჩინა თავი.

მიხა კი მალულად ხან ერთ ნათესავთან ათევდა ღამეს, ხან მეორესთან, მაგრამ ნათესავებმაც რომ გაიგეს მიხას დეზერტირობის ამბავი ასე უთხრეს:

— დეზერტირი ყოფილხარ, გვეშინია სახლში ვერ შეგიშვებთო.

მიხა ასეთმა აუტანელმა მდგომარეობამ სულ შესცვალა ჰკუაზე.

როგორ მოქცეულიყო არ იცოდა. უკან დაბრუნებულიყო, ამხანაგების სცხვენოდა და თან დასჯისაც ეშინოდა, ასეთი ქურდული ცხოვრებაც კიდევ აუტანელი შეიქმნა მისთვის. ბოლოს გადაწყვიტა: ოლღას ენახამ ის მომცემს რჩევას; მაგრამ ოლღამ მიხა რომ დაინახა მკვახედ შეჰყვირა:

— ახლოს არ მომეკარო შენ მოღალატე ხარ, დეზერტირიო.

— შემიბრალე, ოლღა, მირჩიე როგორ მოვიქცეო. ემუდარებოდა მიხა, მაგრამ საპასუხოდ ოლღამ უკანასკნელად კიდევ შესძახა გულ-მოსაკლავად:

— გამშორდი დეზერტირო და წავიდა.

გავიდა კიდევ ორი კვირა.

დამწუხრებული გიგო წისქვილში წასასვლელად ემზადებოდა, რომ მოესმა ჰიშკრიდან თავზარ-დამცემი ხმა:

— შე საცოდავო გიგო, შენ ბიჭს მიხას რიონში თავი დაუხრჩვია, მეთევზეებს უპოვნიათ და სანაპიროსთან გამოუტანიათ, წადი და ეპატრონეო.

**გრ. სლავისონიშვილი.**

დივსკ ილა.

ყველა ნაწილების, შემლების და გვარად, სკოლების შენობათა შეკეთება დაიწყო.

პირველი ლეგიონის სკოლის შენობის მოწყობა დაიწყო საზაფხულო ბანაკში.

სანი.

## თეატრი და ხელოვნება.

ორშაბათს 19 მაის ქართულ ლაშქროსანთა კლუბში დაიდგა წარმოდგენა „გეგეჭკორი“. სანამ როლების აღმსრულებელთ შევეხებოდე, მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ზემოხსენებულ კლუბის ისტორიიდან. ზამთრის სეზონში ხშირად იმართებოდ წარმოდგენები აქ. წით. ლაშქრისათვის, მაგრამ არც ერთი წარმოდგენა არ იყო დადგმული როგორც წესი და რიგია, მიუხედავათ იმისა რომ თითქმის მსახიობები ღებულობდნენ მონაწილეობას. არც ერთ წარმოდგენაზე მოქმედ პირთ არ ეტყობოდათ რეჟისორის გამოცდილება არც მიზანსცენებს და არც დადგმას, ხატვოთაბას.

ძათი დიდი ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ჩვენს მსახიობთ არ უყვართ როლების სწავლა, რაც დაუშვებელი არის მსახიობისათვის. როლის არ ცოდნა და ისე სცენაზე გამოსვლა ნიშნავს. 1. ავტორის შეცხვენას. 2. თავისი თავის დამცირებას. 3. აუდიტორიის მასხარად აგდებას და სხვა. გეგეჭკორის დადგმის დროსაც ასეთი ცოდვები დატრიალდა. ცოტა როლების არ ცოდნა ყველას ეჩხნეოდა ძთავარი გ. ს. მოხდენილად ასრულებდა თავის როლს, მხოლოდ ვერ ჰქონდა კარგათ შეთვისებული ძველებური მეფური მედიდურობა ხელს უშლიდა თამაშში აგრეთვე ზემოხსენებული ცოდვა. გრიმი სუსტი ქონდა და არ იყო მეგრელის ტიპი.

ხეცია უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ძლიერ სუსტი იყო. არ ჰქონდა კარგად შეთვისებული მიხვრა მოხვრა ნაკლები განცდაც ჰქონდა, მით უმეტეს შვილთან შეხვედრის დროს, პირველ მოქ. გეგეჭკორის წამების და მთავართან მოხსენების დროს მეორე მოქ. შვილის სიკვდილის დროს მესამე მოქ. გრიმს არა უშავდა. ჩიქოვანი მოხდენილად ასრულებდა თავის როლს, მხოლოდ საჭირო არის უფრო დახელოვნება ჩიქოვანის თამაშობის დროს გაიძვერობაში. მოხდენილად თამაშობდა სიდუ, როლის ცოდნაც ეტყობოდა.

შავდია ჩქარობდა, კარგი იქნებოდა უფრო ხელი ტემპით ლაპარაკი. დიდი და მიუტევებელი ცოდვაა მისი და აგრეთვე რეჟისორის, ის რომ ის უიარაღოთ იყო და მთავარი კი იარაღში. მთავარს რომ იარაღი არ ჰქონოდა შეიძლებოდა, და შავდიას, კარის კაცს, ეს დაუშვებელია. მასთან ხალათებით სხვა კარის კაცნი უიარაღოთ, ესეც მიუტევებელი ცოდვაა რეჟისორის.

კარგი იყო გეგეჭკორი, მაგრამ საჭიროა უფრო დახელოვნდეს.

ესამე მოქმედებაში არ იყო ხარის ხმა და ხმაურობა, რაც წარმოდგენას ელფერს უკარგავს.

საჭიროა ზემოხსენებულ დეფექტების თავიდან აცილება და გამოსწორება, რომ უფასო წარმოდგენაზე ხალხს მოსვლა არ ეზარებოდეს. საჭიროა ასეთი კარგი პიესები ხშირად იდგმებოდეს და რეჟისორიც ფრთხილად ეკიდებოდეს თავის მოვალეობას.

გ. სევდიშვილი.

# ახალი ამბები.

— **გლეხების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება.** ა. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა: ახალციხიდან გლეხების დუხობორების სოფელში გადასახლების საკითხი გადასცეს განსახილველად საქ. კომისართა საბჭოს.

— **ამხ. ვირაპისადმი სასჯელის პატიება.** სრულიად საქართველოს ცენტ. აღმას. კომიტ. დაადგინა; რადგანაც ამხ. ვირაპს დიდი ღვაწლი მიუძღვის რევოლიუციის წინაშე ამის გამო მას ეპატიოს სასჯელი პირობით.

— **ამინდი კახეთში.** კახეთიდან მიღებულ ცნობით სიღნაღის და თელავის მაზრებში გვალვები ისევ გრძელდება. ვენახებს კარგი პირი უჩანთ, მაგრამ ყანები კი დაზარალებულია უწვიმარობის გამო.

— **სამაგალითო კვირეული.** ავჭალის გლეხკომმა ჩაატარა კვირეული. ერთი კვირის განმავლობაში შეკეთდა არხი. შეკეთებული იქნა აგრეთვე ოცი ვერსის მანძილზე შარა გზა. კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობას ღებულობდა 600 გლეხი. ასეთივე ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებდა დიღომის კვირეულის ჩატარების დროს.

— **მუშათა დასასვენებელ სახლების მოსაწყობათ.** ს. მცხეთაში მუშათა დასასვენებელ სახლების მოსაწყობად სრ. საქ. ცენტ. აღ. კომიტ. დაადგინა: საქართველოს პროფკავშირის შუამდგომლობის თანახმად მოქ. ღვამიჩავას, შართავასი, მიქაძის, პისნოგლიდოვის, ჰიჰინაძის, მაჩხანელის, საშუმოვსკის და ყოფილ მონასტრის სახლები გამოცხადდენ გაერთიანებულად.

— **მისაბაძი მაგალითი.** მარტყოფის (გარე კახეთი) გლეხკომმა ადგილობრივ გლეხობისათვის გამოიწერა გაზ. „მიწის მუშის“ 60 ცალი.

### ქალ. ალმასკომში.

— **საუწყებო კონტროლი.** ქალაქის აღმასკომმა საუწყებო შტატის შესამუშავებლად გამოჰყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. სუხიშვილი (თავმჯდ.) სერგეევი, მინასიანი და გავაშელი.

— **ვაჭრობის წარმოება მუშკოპის მაღაზიებში.** ქალ. აღმასკომმა მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეობის შუამდგომლობის თანახმად დაადგინა: მუშკოპის მაღაზიებში ვაჭრობამ იწარმოოს დილის 7—12 ს. და ნაშუადღ. 2—5 ს.

— **დახმარება.** ქალაქის აღმასკომმა სამხედრო საგარნიზ. კლუბს დახმარების სახით დაუნიშნა ყოველთვიურად 300 მან.

— **ზაჰესკომის საქმეებზე.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა ზაჰესკომის საქმეებისთვის ქ. მოსკოვში მიავლინოს ამხ. იორამაშვილი.

— **კომუნალური გადასახ დიეტ ლებზე.** ეტლებზე კომუნალური გადასახადების გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. ამხ. რუხაძის, ასროევის და დოლიძის შემადგენლობით.

## ხელოვნება.

— **კამოს ცხოვრება ეკრანზე** სახ. კინო მრეწველობა შეუდგა ამხ. კამოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადატანას კინო ლენტზე.

— **პროლეტკულტის საღამო.** დღეს წითელ თეატრში (სახ. სახლი) გაიმართება პროლეტკულტის საღამო რევოლიუციონური პროგრამით.

— **ბაქოს მუშათა კლუბი.** ბაქოს მუშათა თეატრის წარმოდგენები რუსთველის თეატრში გაგრძელდება ამ თვის ბოლომდე.

— **შექსპირი ქართულად.** ამ დღეებში სახელგამი შეუდგება შექსპირის ტრაღედიეების ბეჭვდას ივ მაჩაბელის თარგმანით. თარგმანებ გამოვა ორ დიდ ტომად.

## ტაქტიკა.

### (სახელმძღვანელო სამხედრო სკოლებისათვის).

თანამედროვე გარდამავალ ხანაში, როდესაც ტეხნიკა საშინელის სისწრაფით ვითარდება, როდესაც საომარ საშუალებათა რიცხვი მრავლდება და ამის მიზეზებით თვით სამხედრო მეცნიერებაშიაც ცვლილება ხდება, სამართლიანათ „მეტად მძიმე და რთული სამუშაოა—ტაქტიკის სახელმძღვანელოს დაწერა სამხედრო საქმის ყოველი დარგის მოყვანით“.

ქართული სამხედრო სკოლა განიცდიდა დიდ გაჭირვებას, ტაქტიკის სახელმძღვანელოს უქონლობით, თუმცა ლექციები იკითხებოდა ქართულ ენაზედ, მხოლოდ პირველ მიზეზის გამო მეცადინეობა ფერხდებოდა. ქართულმა სამხედრო სარედაქციო კოლეგიამ წინადადება მისცა სკოლის ტაქტიკის ხელმძღვანელებს სათანადო სახელმძღვანელოს შედგენის შესახებ. ლექტორები მცოდნე გენშტაბისტები შეუდგენ მუშაობას და მიუხედავად მცირე დროის, რომელიც მათ ხელთ ჰქონდათ ცაძლიეს ეს მეტად რთული და პასუხის მგებელი საქმე.

ამ ჟამად დაბეჭდილია და უკვე სკოლაში სარგებლობენ ამ დიდ შრომის პირველ ნაწილით „ქვეითი ჯარი“. შრომა კოლექტიური ხასიათისაა და ეკუთვნის გენშტაბისტებს და ლავრენტი სლინკოს და ლექტორის გარსიაშვილის კალამს. სახელმძღვანელო შედგენილია თანახმად სამხედრო სასწავლებელთა მთავალ სამმართველოს პროგრამისა. ავტორებს შედგენისას გამოუყენებიათ მასალათ როგორც რუსული წყაროები, ისე უცხოეთის ავტორების შრომანი.

წიგნი დაწერილია გასაგებ ენით. საკითხის გასაშუქებლად მოყვანილია მაგალითები წარსულ იმპერიალისტურ ომიდან და ამ გვარად წმინდა სქოლასტიური ელემენტი სახედრო მეცნიერებისა გაცხოველებულია ცოცხალი შინაარსით, რაც სამხედრო პედაგოგიკის მხრივ წიგნის დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს. „ტაქტიკის“ გამოცემა ქართულ ენაზედ ქართულ წითელ არმიის და საერთოთ ქართულ ერის კულტურის დიად კულტურულ მოვლენას წარმოადგენს, ვინაიდან იგია ქვაკუთხედი სამხედრო მეცნიერებისა.

ამ ნაშრომით ჩაეყარა საძირკველი სამხედრო მეცნიერებას ქართულ ენაზედ და ამ რიგად შემდეგში გაადვილებული იქნება მუშაობა ამ დარგში. დაძლეულია უმთავრესი დაბრკოლება სამხედრო მეცნიერულ მოღვაწეობაში: ტერმინოლოგიის დაწესებით. წიგნში ბევრი მოსწრებული ტერმინია ნახმარი, რაც უნდა სარედაქციო კოლეგიის დიდ შრომას მიეწეროს. ამავე დროს თავში ნახმარია ერთი ტერმინი და ბოლოში ამავე ცნების მეორე ტერმინი, რაც აიხსნება იმით რომ სამხედრო სარედაქციო კოლეგია ამ ჟამათ მუშაობს რესპუბლიკის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით და მის მიერ მიღებულ ტერმინების მიხედვით შეტანილია ამ გვარი ცვლილებანი.

წიგნი დიდი ფორმატისაა, შეიცავს 175 გვერდს და დართული აქვს ბოლოში ნახატები ტექსტისათვის. მივიღებთ რა მხედველობაში პირველი ნაწილის ასეთ სიდიდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ სრული წიგნი რვაას გვერდიანი გამოვა, რაც უნდა ჩაითვალოს სამხედრო ლიტერატურის განძათ.

გ. ბ—შვილი.

# სასოფლო მეურნეობა.

### გაიჩინეთ კარგი ჯიშის ღორები.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში მეღორეობას დიდ ყურადღებას აქცევენ და ღორის რიცხვი საგრძნობლად გამრავლდა.

ეს ძლიერ სასიამოვნო მოვლენა აიხსნება სიმინდის და სხვა ჭირნახულის სიიაფით.

ღორი ძლიერ სასარგებლო ცხოველია. ის ჩქარა მრავლობს, მალე იზრდება და მისი მოვლაც ადვილია. თითქმის ყოველგვარ საკვებს ეგუება. ის შეიძლება ვკვებოთ ბალახით, გოგრით, რკოთი ჭარხლით, ბოსტნეულით, სუფრის და რძის ნაწარმოების ნარჩენით და მრავალი და სხ. ამიტომაა, რომ ღორს ყველაფრის ჭამია ცხოველს ეძახიან.

როგორც ვიცით, ღორი სხვა და სხვა ჯიშისაა; ზოგი დიდი იზრდება, ზოგი პატარა, ზოგი მალე სუქდება, ზოგი არა და სხ. უნდა ვიყოლიოთ მხოლოდ კარგი ჯიშის ღორი ე. ი. ისეთი, რომელიც ჩქარა ათავებს ზრდას, კარგად სუქდება, დიდი იზრდება.

სამწუხაროთ, ჩვენში კარგი ჯიშის ღორი იშვიათადაა გავრცელებული და თუ არის ისიც ვერავ კარგათ მოვლილი. ეხლავე უნდა შეუდგეთ ჩვენებურ ღორის ჯიშების გაუმჯობესებას. ეს არც ისე ძნელი საქმეა.

ყოველმა სოფელმა უნდა გაიჩინოს ორი-სამი კარგი ჯიშის ტახი. ამათი შეწყვილებით და კარგი კვებით თანდათან გავაუმჯობესებთ ჩვენი ღორის ჯიშებს.

ეს უნდა დაისვას სადღეისო საკითხათ სოფლებში მომუშავე აგრონომებმა და გლეხობამ.

მეურნე.

# მეცნიერება და ტექნიკა

### მექანიკური აეროდრომი.

უმთავრესი მიზეზი ჰაეროპლანების დამარცხებაში უნდა მიეწეროს ჰაეროდრომების ე. ი. იმ ადგილების ცუდათ მოწყობას საიდანაც სწარმოებს ჰაეროპლანების აფრენა და ძირს დაშვება. კარგად მოწყობილი აეროდრომების დროს თითქმის თავიდან აცილებულია ყოველგვარი კატასტროფები. თვით მფრენს სათანადოთ მოწყობილი აეროდრომი ესაჭიროება. ერთ ერთ ამერიკულ ჟურნალში მოყვანილია მექანიკური აეროდრომის პროექტი, რომელიც მეტად საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს. მართალია პროექტის განხორციელება შეუძლებლად მოეჩვენება ბევრს, მისგან რაღაც უცნაურობის შთაბეჭდილებას მიიღებს, მაგრამ თუ ჩვენ არ დავივიწყებთ იმას, რომ თანამედროვე ტეხნიკა თითქმის ყოვლის შემძლე შეიქნა, ადვილად შეგვიძლია შეურიგდეთ იმ აზრს, რომ ასეთი აეროდრომის მოწყობა სრულებით არ წარმოადგენს სიძნელეს. ჩვენს დროში სივრცეები გადაილახა, მთვარეზე მაშხალების გადასროლას აპირებენ და გასაკვირია, არაა რომ დედა მიწაზე სიტყვამ-შეუძლებელიამ-თავისი შინაარსი და მნიშვნელობა დაკარგოს.

მეორე მხრივ ხსენებულ აეროდრომის უპირატესობა ყოველმხრივ გასაგებია. მთა-გორიან ან ჭაობიან ადგილებში ჩვეულებრივი აეროდრომების მოწყობა მეტად ძნელი და ძვირი ჯდება. საჭიროა ფრიად მნიშვნელოვანი სივრცის ადგილის მოსწორება და სხვა. მექანიკური აეროდრომი კი თანახმად ხსენებული პროექტისა შეიძლება მოეწყოს მაღალი მთის წვერზედაც. აი როგორია მისი პროექტი; შენდება კოშკი, რომლის თავზე თავისუფლად მოძრაობს პლატფორმა. პლატფორმიდან შეიძლება ჰაეროპლანების როგორც აფრენა ისე მასზედ დაფრენა. ამავე დროს აფრენაც და დაშვებაც ხდება ქარის წინააღმდეგ, რადგანაც მექანიკური აეროდრომი თავისუფლად ტრიალებს კოშკის თავზე, შესაძლებელი ხდება მისი ისე დაყენება რომ აფრენის ან დაშვების დროს ჰაეროპლანს უხდებოდეს მოქმედება ქარის წინააღმდეგ. კოშკი მექანიკური აეროდრომისა შეიცავს მთელ ქარხანას: იქვე მოთავსებულია სამანქანო განყოფილება, თვითმფრენთ სახელოსნო, რადიო ტელეფონი და მრავალი სხვა. როგორც ვხედავთ ეს ფანტაზია, თუ ოდესმე სისრულეში იქნა მოყვანილი ის იმდენად არის შეგუებული თვითმფრენის თვისებებთან, რომ აუცილებლად დიდი მიღწევების დასაწყისად ჩაითვლება საჰაერო მიმოსვლაში.

შეიხ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.